


 ა(ა)იპ "თავისუფლება" NQO "Freedom"

ბილეთის ფასი 10 ლარი 25.03.14 6 / 20.00 სთ
 ღონისძიების განმარტებული მხარდაჭერაა შ. თაბიასის შპს-ის
 ბილეთის შექმნა მხარდაჭერის სპონსორის სახელის სადასტურებლად

ერთად ვიბრძოლოთ ჩვენი ძველის
 ჯანსაღი მომავლისთვის!

გააძლიერებთ საქველმოქმედო
 მართონზე სპორტის სასახლეში

საქველმოქმედო ზარი: 0901 700 515 ზარის ღირებულება 1 ლარი

პოლიტიკა ≡ მთავარი თემა

"ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას" და კულტურის სამინისტროს მიმოწერა

ცისანა შერგილაშვილი 18 თებერვალი 2014 11:06:30

სვანეთში, სოფელ ხაიშში, საპროექტო ტერიტორიის იმ მონაკვეთს, სადაც უნდა აშენდეს ხუდონჰესის კაშხლის ტანი, კულტურის სამინისტრო, არქეოლოგიური თვალსაზრისით სტერილურად, ხოლო სამშენებლო სამუშაოებს დასაშვებად მიიჩნევს.



მსგავსი შინაარსის პასუხი გასცა კულტურის სამინისტრომ 2014 წლის 8 იანვარს "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას" წერილზე, რომელშიც კომპანია ხუდონჰესის აშენების შედეგად დასატბორ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ კვლევები წარმოადგინა.

სამინისტროსა და კომპანიას შორის მიმოწერა გამოთხოვილი ჰქონდა "შეგანე ალტერნატივას" და ორგანიზაციის იმ გუმინ გამოაქვეყნა.

"გურია ნიუსი" გათავაზობთ კომპანია "ტრანსელექტრიკა ჯორჯიას" დირექტორის პაატა წერეთლის მიერ კულტურის მინისტრ მირიანე ოდიშარას სახელზე 2013 წლის 3 დეკემბერს გაგზავნილ წერილს და მასზე სამინისტროს პასუხს:

"კომპანია "ტრანს ელექტრიკა ჯორჯია", 2009 წლიდან, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე მუშაობს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გახორციელებაზე. ხუდონჰესის, ენგურჰესის შემდგომ, სიდიდით მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოებისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ აღნიშნული პროექტი ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი საინვესტიციო პროექტია.

გაცნობებთ, რომ ა(ა) იპ "არქეოლოგიურმა ასოციაციამ" შეასრულა არქეოლოგიური სამუშაოები ხუდონჰესის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ ტერიტორიაზე _ დატბორვის ზონაში. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა პირველი ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად იდენტიფიცირებულ ობიექტებზე.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ხუდონჰესის კაშხლის ტანის სამშენებლო ზონაში არ გვხვდება არქეოლოგიური ობიექტები და შესაძლებელია მშენებლობის დაწყება, გარდა ამისა, სრულად არის შესწავლილი და გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები.

სახელმწიფოსათვის ხუდონჰესის მშენებლობის სტარტეგიულობრივად გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ანგარიშები და გასცეთ დასკვნა, ეკონომიკის სამინისტროდან მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შპს "ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" უზრუნველყოფს არქიტექტურული ძეგლების რელოკალიზაციასა და მშენებლობის პროცესში გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტების შესწავლას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებთან შეთანხმებით.

თავის მხრივ, შპს "ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" მზად არის ზემო სვანეთში, ე.წ. "ხუდონჰესის" დატბორვის ზონის შემოგარენში, მხარი დაუჭიროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებსა და რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლას.

კომპანია "ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" აცნობიერებს რა, ეკლესიისა და იქ არსებული სამარხების რელოკაციისა და გადასვენების სირთულეს, უპირველეს მთავალბად მიიჩნევს, მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან. ასევე პროექტების განხორციელების დროს კომპანია სრულ პასუხისმგებლობას იღებს, საპატრიარქოსთან შეთანხმებით, ყველა კანონიკური წესის დაცვით ააშენოს ორი ეკლესია. ერთი სოფელ ილიანში და მეორე - სოფელ ვედში. ასევე კომპანია "ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" გამოთქვამს მზადყოფნას თავისი პატრონაჟის ქვეშ აიყვანოს ხუდონი პროექტის არეალში მდებარე ძეგლები, აღადგინოს და მოუაროს მათ საქართველოს საპატრიარქოსა და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, _ აღნიშნულია "ტრანსელექტრიკას" მიმართვაში.

აღნიშნულ წერილს 8 იანვარს უპასუხა კულტურის სამინისტრომ და მას ხელს უკვე ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარი აწერს.

კომპანია "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას" მისამართით სამინისტროსგან გაგზავნილ პასუხში ვკითხულობთ:

"საქართველოს კულტურისა და დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ხუდონჰესის მშენებლობისთვის შერჩეულ საპროექტო ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით გახორციელებულ კვლევებს. წარმოდგენილი ანგარიშებიდან ჩანს, რომ ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გარდა, რომელიც განალაგებულია და



8 საკითხი _ წულუკიანის უწყებას არაეფექტური მუშაობის შედეგებზე



ვინ არიან ოზურგეთის სოფლებში მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატები



აღდგება თუ არა სამართლიანობა მიხილ საკავშირის დაჭერით



"მინდოდა ღირსეული სიბერე მქონოდა..."



"ჯავახვი" სომხური ენისთვის სტატუსის მინიჭებას ითხოვს"



ზაზა ხატიაშვილი შსს-სგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს



"მერაბიშვილის განცხადება საფუძველს მოკლებულია"



პარლამენტს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი



"დევხმართ პატიმრებს, ნუ მივატოვებთ გასაქირში"



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჰქონდათ და ივანიშვილი



კლუბ "გურიას" დირექტორის შვლი გარდაიცვალა



დღის ფორტ _ ბურჯანაძის ოფისი ჩოხატაურში



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?

სრულიად სახეცვლილია 2009 წელს განხორციელებული სამუშაოების შედეგად, დატბორვის ზონაში არ ხვდება ისტორიულ-არქიტექტურული არცერთი სხვა ობიექტი.

რაც შეეხება არქეოლოგიურ მემკვიდრეობას, ბიბლიოგრაფიულ-საარქივო მასალაზე დაყრდნობით, სადაც დატბორვის ზონაში დაფიქსირებული იყო 10 ობიექტი, განხორციელდა სადაზვერვო სამუშაოები, რათა მომხდარიყო ამ ობიექტების იდენტიფიცირება საარქივო მონაცემების მიხედვით. სადაზვერვო სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ შესაძლებელი გახდა მხოლოდ 6 არქეოლოგიური ობიექტის საარქივო მონაცემებთან იდენტიფიცირება. 4 ობიექტის გამოვლენა ვერ მოხერხდა. აღნიშნული 6 ობიექტი შესწავლილია სრულად, _ წერს მარინე მიზანდარი ინვესტორ კომპანიას და ამატებს, რომ დატბორვის ზონას კიდევ უფრო დაწვრილებითი შესწავლა სჭირდება არქეოლოგიური თვალსაზრისით.

რაც შეეხება "შწავნა ალტერნატივას" შეფასებას, რამდენად კვალიფიციურადაა ჩატარებული კვლევები კომპანია "ტრანსელექტრია ჯორჯიას" მიერ, როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, ამ ეტაპზე კულტურის სპეციალისტების და არქეოლოგების დასკვნებს დაელოდებიან და თავიანთ პოზიციას შემდეგ დააფიქსირებენ.

Tweet 2

+1 0

Like Share 22

სამხრეთი



შს-მ თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა



"საქართველოს მოსამართლეთა ერთობა" კოტე კუბლაშვილს

არქივი

<p>ქართული ემიგრანტები ეპროპარლამენტის წინ აქცია ბაბართავე</p>	<p>2012-08-03 22:10:26</p>	<p>"ქართული ოცნების" დახურული შეხვედრა</p>	<p>2013-04-17 15:25:50</p>
---	---	---	---



5 აგვისტოს, კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ ბათუმში დაგეგმილი აქციის პარალელურად, აქცია...



ამ წუთებში, ქალაქ ლანჩხუთში პარტია "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" გურიის რეგიონის...

<p>დავით დარჩია "თავდაბობი" ანიჩრეთს?</p>	<p>2013-08-26 21:23:38</p>	<p>ჟურნალისტის პასუხი თინა ხიდაშელს: "ფრენა ისეთი უნდა, მე რომ ვიცი"</p>	<p>2013-03-29 13:11:15</p>
--	---	---	---



როგორც უკვე გაუწყეთ, საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბს ოზურგეთში...



ჟურნალისტი ლაშა ბერულავა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, თინა ხიდაშელს ფეისბუქით პასუხობს.

მასალების გამოყენებისას აუცილებელია რედაქციის ნებართვა

54 User Online

2562779
 6171
 TOP.GE 2782